



**არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია
საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი**

მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

თბილისი, 2008 წლის 22 მაისი - არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია 2008 წლის 21 მაისის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისთვის ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR), ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის (OSCE PA), ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE), ევროპარლამენტისა (EP) და ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის (NATO PA) ერთობლივი წამოწყებაა.

არჩევნები ფასდება ეუთოსა და ევროსაბჭოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებთან, ასევე დემოკრატიული არჩევნების სტანდარტებთან და ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. წინამდებარე მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ წინ უსწრებს საარჩევნო პროცესის დასრულებას. არჩევნების საბოლოო შეფასება ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ წარიმართება არჩევნების პროცესის დარჩენილი ეტაპები: ხმების დათვლა და შედეგების გამოცხადება, არჩევნების შემდეგ შესაძლო საჩივრებისა და განცხადებების განხილვა, ასევე არჩევნების სავარაუდო მეორე ტური. საარჩევნო პროცესის დასრულებიდან რვა კვირაში OSCE/ODIHR-ი გამოაქვეყნებს სრულყოფილ საბოლოო ანგარიშს, რომელშიც შევა სამომავლოდ გასათვალისწინებელი რეკომენდაციები. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიაში წარმოდგენილი ინსტიტუტები მადლობას უხდებიან საქართველოს ხელისუფლებას თანამშრომლობისთვის და გამოთქვამენ მზადყოფნას, კვლავ აღმოუჩინონ დახმარება დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.

წინასწარი დასკვნები

21 მაისის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც თავდაპირველად წლის ბოლოს უნდა ჩატარებულიყო, 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებული პლებისციტის შედეგად, ვადაზე ადრე დაინიშნა. მას შემდეგ საარჩევნო პროცესი გაუმჯობესდა. თუმცა, იმისათვის, რომ დაიდლოს უნდობლობა და არჩევნებში დაინტერესებულ პირებსა და საზოგადოებას შორის გაჩნდეს ნდობა, უნდა გადაიჭრას კვლავ არსებული გარკვეული პრობლემატური საკითხები. ამისათვის აუცილებელია, რომ როგორც ხელისუფლებამ, ისე პოლიტიკურმა პირებმა დაადასტურონ ერთგულება ნაკისრი ვალდებულებებისადმი.

ზოგადად, ამ არჩევნებმა საქართველოს მოსახლეობას ნამდვილად მისცა საშუალება თავისი წარმომადგენელი მრავალ კანდიდატს შორის აერჩია. ხელისუფლებამ და სხვა დაინტერესებულმა პოლიტიკურმა პირებმა ძალისხმევა არ დაიშურეს, რათა ეს არჩევნები ეუთოსა და ევროსაბჭოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად ჩატარებულიყო. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ დააფიქსირა

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
 საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
 მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

მრავალი პრობლემა, რამაც ამის განხორციელება არათანაბარი და არასრულყოფილი გახადა.

საარჩევნო კოდექსი ზოგადად ხელს უწყობს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას. საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებებით მოხდა OSCE/ODIHR-ისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინება, რომელიც გულისხმობდა საარჩევნო ბარიერის 7-დან 5 პროცენტამდე დაწევას და არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაციის გაუქმებას. თუმცა საარჩევნო კოდექსში ჯერ კიდევ არსებული შეუსაბამობები, ხარვეზები და ორაზროვნება დებულებების მრავალგვარად ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც თავისთავად უარყოფით გავლენას იქონიებს კანონის მართებულად განხორციელებაზე.

მთავრობასა და ოპოზიციას შორის დიალოგის ჩაშლის შემდეგ, საარჩევნო სისტემა არჩევნებამდე ორი თვით ადრე შეიცვალა ძირითად დაინტერესებულ სუბიექტებს შორის კონსენსუსის მიღწევის გარეშე, რასაც ოპოზიცია მმართველი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ გადადგმულ ნაბიჯად აღიქვამდა. თითოეულ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში დარეგისტრირებულ ამომრჩეველთა რიცხვის მკვეთრი სხვაობა არღვევს ხმების თანაბრად გადანაწილების უმთავრეს პრინციპს.

რეგისტრაცია თორმეტმა პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა გაიარა. რეგისტრაციის პროცესი მოცულობითი და გამჭვირვალე იყო. თუმცა, ცესკო ამ პროცესს კიდევ უფრო მეტ გამჭვირვალობას შესძენდა, თუ იგი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიულ სიას ცესკო-ს ყველა წევრისთვის მოთხოვნისთანავე ხელმისაწვდომს გახდიდა.

პარტიებს მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო კამპანიის წარმოების საშუალება ჰქონდათ, თუმცა იგი პოლარიზებულ და დაძაბულ გარემოში მიმდინარეობდა. განსხვავება სახელმწიფო ღონისძიებებსა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ღონისძიებებს შორის ხშირად ბუნდოვანი იყო, რაც კამპანიის წარმოებისთვის არათანაბარ პირობებს ქმნიდა. საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებებით შესაძლებელი გახდა კამპანიის მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება. იგი ასევე უფლებას აძლევდა პოლიტიკური თანამდებობის პირებს, ერთმანეთში შეერიათ თანამდებობრივი მოვალეობები და საარჩევნო ღონისძიებები, რაც ეწინააღმდეგება ეუთო-ს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, და რაც სახელმწიფოსა და პარტიის ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯვნას მოითხოვს.

კანდიდატთა, პარტიის აქტივისტთა და სახელმწიფო მოხელეთა დაშინებასთან დაკავშირებით გავრცელებულმა მრავალმა განცხადებამ საარჩევნო გარემოზე უარყოფითად იმოქმედა. მიუხედავად იმისა, რომ მათი გადამოწმება რთულია, OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მიერ გამოკვლეული ზოგიერთი განცხადება დადასტურდა. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მოუწოდა საჯარო მოხელეებს, არ ჩარეულიყვნენ საარჩევნო პროცესებში.

მედია ზოგადად აზრთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახლად არჩეული სამეურვეო საბჭოს ინიციატივით „საზოგადოებრივ მაუწყებელსა“ და არჩევნების ყველა სუბიექტს შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი, რომელიც საარჩევნო ღონისძიებების მიუკერძოებლად გაშუქებას ითვალისწინებდა. „საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ ამომრჩეველს პარტიებისა და კანდიდატების ერთმანეთთან შედარების შესანიშნავი შანსი მისცა. თუმცა, სხვა ტელეკომპანიათა საინფორმაციო გამოშვებებში, საარჩევნო კამპანიის გაშუქების თვალსაზრისით, ბალანსის ნაკლებობა შეიმჩნეოდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ და ხელისუფლება ყველაზე ინტენსიურად შუქდებოდა.

ცესკო-ს საქმიანობა უმეტესწილად გამჭვირვალე იყო. იგი ხშირად მართავდა შეხვედრებს, რომლებზეც დასწრება თავისუფალი იყო დამკვირვებლებისა და მედიისთვის. თუმცა, იგი არ მოქმედებდა როგორც კოლეგიალური ორგანო. კანონის მოთხოვნის მიუხედავად, ცესკო-ს წევრები ვერ ახერხებდნენ სადავო საკითხებთან მიმართებაში დამოუკიდებლად მოქმედებას. კონკრეტულად ამ არჩევნებისთვის საოლქო საარჩევნო კომისიებში შემოღებული იქნა პარტიული წარმომადგენლობა, რაც ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე გავრცელდა. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დე-ფაქტო უმრავლესობა ეკავა. ოპოზიციური პარტიები კი, საუბნო საარჩევნო კომისიებში მმართველ პოზიციებზე ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი. მეორე მხრივ, პროცესის გამჭვირვალობას ხელი შეუწყო ცესკო-ს გადაწყვეტილებამ, აკრედიტაცია მიეცა ბევრი ადგილობრივი არაპარტიული სადამკვირვებლო ორგანიზაციისთვის, რაც ეუთოს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს შეესაბამება.

ცესკო-მ ეროვნული მედიის საშუალებით ამომრჩეველთა საგანმანათლებლო კამპანია ჩაატარა, ასევე ტრენინგები საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის, მათ შორის ეროვნული უმცირესობების ენებზე. პარტიათა და საარჩევნო ბლოკთა უმეტესობის კანდიდატთა სიებში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები შედიოდნენ. საერთო ჯამში, ქალები არასათანადოდ იყვნენ წარმოდგენილი როგორც კანდიდატებად, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციის მმართველ პოსტებზე.

საჩივრებთან და განცხადებებთან დაკავშირებული პროცედურები გამარტივდა და გარკვეულწილად გასაგები გახდა, თუმცა ისინი კვლავ წინააღმდეგობრივი და ორაზროვანია. საჩივრებისა და განცხადებების შეტანისა და მათი განხილვისთვის დაწესებულმა მოკლე ვადამ საფრთხე შეუქმნა უფლებას ჯეროვან სამართლებრივ პროცედურაზე, და ამგვარად ეჭვქვეშ დააყენა მათი გადაწყვეტის ეფექტური საშუალებები. საარჩევნო კომისიები და სასამართლოები სათანადოდ არ განიხილავდნენ საჩივრებსა და ამკარა მიკერძოებას იჩენდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და საჯარო მოხელეებისადმი. ზოგჯერ ისინი უარს აცხადებდნენ მოწმეთა ჩვენების მოსმენაზე ან დოკუმენტირებული სამხილის ნახვაზე, ვერ ახერხებდნენ ყველა

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
 საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
 მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

სათანადო ფაქტის განხილვას, მიმართავდნენ კანონის არაგონივრულ ინტერპრეტაციას ან ვერ იძლეოდნენ სამართლებრივ არგუმენტაციას.

არჩევნების დღემ ზოგადად მშვიდად ჩაიარა. საერთო ჯამში, არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა უმრავლესობამ იგი დადებითად შეაფასა, სხვადასხვა რეგიონის თავისებურების გათვალისწინებით. თუმცა, ადგილი ჰქონდა პროცედურულ დარღვევებს, რაც ძირითადად შეეხებოდა მარკირების არათანმიმდევრულ გამოყენებას. ცესკო-ს მიერ ამომრჩეველთა სიების მრავალჯერ გადამოწმების მიუხედავად, მათში ხარვეზები კვლავ რჩება. საარჩევნო უბნების უმრავლესობაში ამომრჩეველთა დიდი რაოდენობა დაემატა მოძრავი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის სიას. აღნიშნა ადგილობრივი დამკვირვებლებისა და წარმომადგენლების დაშინების და საარჩევნო უბნიდან გაძევების ფაქტები. ნაკლებად დადებითად შეფასდა ხმების დათვლის პროცესი, ისევე როგორც ხმების შეჯამება. აღნიშნული შეფასება დაფიქსირებულმა ბევრმა პროცედურულმა დარღვევამ განაპირობა.

წინასწარი მონაცემები

ზოგადი ფონი

2008 წლის 21 მარტს საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საპარლამენტო არჩევნები 2008 წლის 21 მაისისთვის დანიშნა. საპარლამენტო არჩევნები, რომლის ჩატარებაც თავდაპირველად 2008 წლის ბოლოსთვის იყო დაგეგმილი, 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად ჩატარებული პლებისციტის შედეგად, ვადაზე ადრე დაინიშნა. პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინადადება პლებისციტის ჩატარების შესახებ 2007 წლის ნოემბერში ოპოზიციის მიერ გამართულ დემონსტრაციებს მოჰყვა. ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნას საპარლამენტო არჩევნების დეგეგმილ ვადაზე ადრე ჩატარება წარმოადგენდა.

მკვეთრად პოლარიზებული 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მმართველ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და ოპოზიციურ პარტიებს შორის დიალოგის თვალსაზრისით გარკვეული წინსვლა შეინიშნებოდა. იანვრის ბოლოს მთავარმა ოპოზიციურმა ბლოკმა წარმოადგინა მემორანდუმი 17 მოთხოვნით. ახალი საარჩევნო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით გამართულ განხილვებში მიღწეული პროგრესი დიდხანს არ გაგრძელებულა. მარტში პოლიტიკური გარემო კვლავ გაუარესდა, რადგან მოლაპარაკებების პროცესში ოპოზიციის რამდენიმე წევრმა, საკუთარი მოთხოვნების გასამყარებლად, 17-დღიანი შიმშილობის აქცია მოაწყო. ოპოზიციის საპროტესტო აქცია იმით დასრულდა, რომ მათი მოთხოვნების უმეტესობა არ დაკმაყოფილდა.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
 საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
 მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

საარჩევნო სისტემა და სამართლებრივი ბაზა

ახალი პარლამენტი 150 წევრისგან დაკომპლექტდება: 75 წევრი აირჩევა პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ხოლო 75 წევრი – მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში¹. იმ შემთხვევაში, თუ ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში ვერც ერთი კანდიდატი ვერ მიიღებს ხმათა 30 პროცენტს, ჩატარდება მეორე ტური იმ ორ კანდიდატს შორის, რომლებმაც ხმათა უმეტესობა მიიღეს. საარჩევნო კოდექსის თანახმად არ არსებობს არანაირი მოთხოვნა ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქების მასშტაბის თანაბრობის ან შესაბამისობის შესახებ. 21 მაისის არჩევნებში ამომრჩეველთა რაოდენობა თითოეულ საარჩევნო ოლქში, რომელიც როგორც წესი, ადმინისტრაციულ ოლქებს ემთხვევა, 6,000-დან 140,000-მდე მერყეობდა. ამომრჩეველთა რაოდენობის ამგვარი სხვაობა არღვევს საარჩევნო უფლებების ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს, კერძოდ ხმების თანაბარ გადანაწილებას².

საქართველოში უმთავრეს სამართლებრივ ბაზას არჩევნებისთვის წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია (1995) და საქართველოს ორგანული კანონი - საარჩევნო კოდექსი (2001). საპარლამენტო საარჩევნო სისტემის შეცვლასთან დაკავშირებით განხორციელებული უმთავრესი ცვლილებები კონსტიტუციასა (11-12 მარტი) და საარჩევნო კოდექსში (21 მარტი) არჩევნებამდე ორი თვით ადრე შევიდა. ოპოზიციურმა პარტიებმა განხორციელებული ცვლილებები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნიეს³. საარჩევნო კოდექსში ბოლო დროს განხორციელებული ცვლილებებისას გათვალისწინებული იყო OSCE/ODIHR-ისა და ევროპის საბჭოს⁴ რეკომენდაციები, მათ შორის საარჩევნო ბარიერის 7-დან 5 პროცენტამდე დაწევა და არჩევნების დღეს ამომრჩეველთა რეგისტრაციის გაუქმება. თუმცა, სხვა რეკომენდაციები გაუთვალისწინებელი დარჩა. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი დაინტერესებული პირების მიერ ცვლილებების განხორციელების პროცესში კონსულტაციების არაადეკვატურობასთან დაკავშირებით გამოთქმული შეშფოთების მიუხედავად, ოპოზიციამ პარლამენტის საქმიანობას ბოიკოტი გამოუცხადა.

საარჩევნო კოდექსი ზოგადად ხელს უწყობს დემოკრატიული არჩევნების ჩატარებას, თუმცა იგი შეიცავს მთელ რიგ ახალ დებულებებს, რომლებიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების სასარგებლოდ არათანაბარ პირობებს ქმნიან.

¹ აქამდე არსებული სისტემით, რომლითაც 2003-2004 წლის არჩევნები ჩატარდა, პარლამენტის 150 წევრი აირჩა პროპორციული სისტემით, 75 კი ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში. ამასთანავე, 1992 წელს აფხაზეთში არჩეულმა პარლამენტის წევრებმა პარლამენტში ადგილები შეინარჩუნეს.

² ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.3 პუნქტი ავალდებულებს ეუთო-ს წევრ ქვეყნებს „მოზარდებისთვის საყოველთაო და თანაბარი ხმის მიცემის უფლების გარანტიას“. ევროსაბჭოს კომისია დემოკრატიისათვის კანონის (ვენეციის კომისია) მეშვეობით იძლევა რეკომენდაციას იმის თაობაზე, რომ „ნორმიდან დასაშვები გადახრა არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს, და რა თქმა უნდა არ უნდა აღემატებოდეს 15%-ს განსაკუთრებულ შემთხვევებში“.

³ ოპოზიციამ მხარს უჭერდა რეგიონალური პროპორციული არჩევნების სისტემის შემოღებას ერთმანდატიანი მაჟორიტარული სისტემის ნაცვლად;

⁴ გათვალისწინებულ იქნა ასევე სხვა ორგანიზაციების, მათ შორის ადგილობრივი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები;

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

კერძოდ, 76-ე მუხლი კამპანიის მიზნებისთვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების უფლებას იძლევა⁵. საჯარო მოსამსახურეებს სამსახურებრივი მოვალეობების მიღმა აგიტაციის წარმოების უფლება აქვთ; მაშინ, როდესაც 76¹-ე მუხლი პოლიტიკური თანამდებობის პირებს⁶ ნებას რთავს, აწარმოონ წინასაარჩევნო აგიტაცია სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას, რაც ეწინააღმდეგება ეუთო-ს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს⁷. საარჩევნო კოდექსში კვლავ არსებული ხარვეზები, შეუსაბამობები და ორაზროვნება დებულებების მრავალგვარად ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რაც თავისთავად უარყოფითად აისახება კანონის სათანადოდ შესრულებაზე.

საარჩევნო ადმინისტრაცია

საპარლამენტო არჩევნების ადმინისტრირება სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ განხორციელდა, რომელშიც შედიოდა: ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), 76 საოლქო საარჩევნო კომისია და 3,358 საუბნო საარჩევნო კომისია. გარდა ამისა, გაიხსნა 72 სპეციალური საარჩევნო უბანი⁸, მათ შორის 47 საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებში საზღვარგარეთ და ორი - საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის ერაყში.

ცესკო არჩევნებისთვის აქტიურად ემზადებოდა, მაგრამ არ მოქმედებდა როგორც კოლეგიალური ორგანო და ასახავდა ზოგად პოლიტიკურ პოლარიზაციას. კანონის მოთხოვნის მიუხედავად, ცესკო-ს წევრები ვერ ახერხებდნენ სადავო საკითხებთან მიმართებაში დამოუკიდებლად მოქმედებას. ცესკო ხშირად აწყობდა შეხვედრებს, რომლებზედაც დასწრება თავისუფალი იყო დამკვირვებლებისთვის, პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებისა და მედიისთვის. ზოგადად ცესკო-ს საქმიანობა გამჭვირვალედ შეიძლება შეფასდეს. ცესკო ასევე ამომრჩევლებისთვის საინფორმაციო კამპანიებს საარჩევნო პროცესის სხვადასხვა ასპექტით აწარმოებდა. საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების ტრენინგი OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ დადებითად შეაფასა.

⁵ საარჩევნო სუბიექტების უფლება, თანაბარი პირობებით გამოიყენონ სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი შენობა-ნაგებობების, საკომუნიკაციო და სატრანსპორტო საშუალებები პრაქტიკულად არ განხორციელდა, აქედან გამომდინარე მმართველი პარტია მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა;

⁶ პოლიტიკურად არჩეული ან დანიშნული ოფიციალური პირები, როგორცაა მაგალითად პრეზიდენტი, მინისტრები, პარლამენტის წევრები ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;

⁷ ეუთოს 1990 წლის კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 და 7.6 პუნქტები. პირველი მოითხოვს სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიების ერთმანეთისგან გამიჯვნას, ხოლო უკანასკნელი ავალდებულებს სახელმწიფოს „უზრუნველყოს აუცილებელი სამართლებრივი გარანტიების არსებობა რათა შესაძლებლობა მისცეს [პოლიტიკურ პარტიებს] კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს თანასწორობის საფუძველზე როგორც კანონის ძალით და ხელისუფლების მხრიდან.“

⁸ სამხედრო ნაწილებში, დაკავების ცენტრებში, საავადმყოფოებში და ა. შ.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

კონკრეტულად ამ არჩევნებისთვის და ოპოზიციის მოთხოვნების პასუხად, შეიცვალა საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა პარტიული წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად. საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა ხუთიდან 13 წევრამდე გაიზარდა, აქედან შვიდი წევრი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენილი კანდიდატია. შედეგად, საოლქო საარჩევნო კომისიების შემადგენლობა ცესკო-სა და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა რაოდენობასთან შესაბამისობაში მოვიდა. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის წევრთა განცხადებით ზოგადად საოლქო საარჩევნო კომისიები კარგად აცნობიერებდნენ საკუთარ მოვალეობებს. თუმცა, დროდადრო ოპოზიციის მიერ დანიშნული წევრები ხშირად გამოთიშულნი იყვნენ საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობიდან⁹. საოლქო საარჩევნო კომისიები ყოველთვის არ მოქმედებდნენ როგორც კოლეგიალური ორგანო. მიუხედავად იმისა, რომ როგორც OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის, ისე ადგილობრივი დამკვირვებლები და პარტიათა წარმომადგენლები ზოგიერთ საოლქო საარჩევნო კომისიაში გამჭვირვალობის ნაკლებობაზე მიუთითებდნენ, კერძოდ დუშეთში, ბოლნისსა და წალკაში.

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დე-ფაქტო უმრავლესობა ეკავა. ოპოზიციური პარტიები კი, საუბნო საარჩევნო კომისიებში მმართველ პოზიციებზე ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილნი. პარტიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დიდი რაოდენობა კანონით განსაზღვრული ბოლო ვადის ამოწურვამდე შეიცვალა. ოპოზიციურმა პარტიებმა განუცხადეს OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას, რომ ამგვარი ცვლილებები სათანადო კანდიდატების შერჩევის პრობლემიდან გამომდინარეობდა ან კიდევ, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დაშინების თავიდან აცილებას ისახავდა მიზნად. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ მოისმინა განცხადებები პარტიების მიერ დანიშნული საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების დაშინების, ასევე კომისიების დატოვების მიზნით მათზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტების თაობაზე. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ დაახლოებით 25 ამგვარი საჩივარი განიხილა და დაადასტურა.

ამომრჩეველთა რეგისტრაცია

ცესკო ამომრჩეველთა ცენტრალიზებული რეესტრის უზრუნველყოფაზე არის პასუხისმგებელი. საარჩევნო კოდექსში შესული ბოლო ცვლილებების შედეგად, გაუქმდა არჩევნების დღეს რეგისტრაცია და ამომრჩეველთა მიერ თავის

⁹ ოპოზიციის მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიასთან უკმაყოფილება გამოთქვეს იმასთან დაკავშირებით, რომ ოპოზიციის მიერ დანიშნულ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს ყოველთვის არ მიუწვდებოდათ ხელი სათანადო დოკუმენტებზე და ყოველთვის არ იყვნენ ინფორმირებული საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომების გამართვის თაობაზე. OSCE/ODIHR-ის გრძელვადიანმა დამკვირვებლებმა ეს ინფორმაცია დაადასტურეს.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

გადამოწმებისთვის განსაზღვრული პერიოდი თორმეტიდან ცხრამეტ დღემდე გაიზარდა (17 აპრილიდან 5 მაისამდე ამ არჩევნებისთვის). ამომრჩეველთა სიები საუბნო და საოლქო საარჩევნო კომისიების შენობებში თვალსაჩინო ადგილას გამოიკრა. ამომრჩევლებს თავის გადამოწმება ინტერნეტის, ცესკო-ს ცხელი ხაზისა და SMS შეტყობინებაზე დაფუძნებული სერვისის მეშვეობით შეეძლოთ. 5 მაისს ცესკო-მ, ოპოზიციის მიერ დანიშნული ცესკო-ს წევრების მოთხოვნის საფუძველზე, ამომრჩეველთა მიერ სიაში თავის გადამოწმების ვადა 8 მაისამდე გააგრძელა. 16 მაისს, კანონით დადგენილ ვადაში, ცესკო-მ განაცხადა, რომ რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3,456,936 შეადგენდა.

OSCE/ODIHR-ის დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ ამომრჩეველთა სიები საუბნო საარჩევნო კომისიებში მეტწილად გამოკრული იყო. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დღეს შექმნილი დამატებითი სიებიდან ამომრჩეველთა ერთიან სიაში შეყვანის პროცესი ადგილობრივი დამკვირვებლების მიერ შეფასდა როგორც არაგამჭვირვალე, ვინაიდან მათ არ მიეწოდათ სრულყოფილი მონაცემები და ასევე არ იქნა განმარტებული სიაში შეყვანის კრიტერიუმი.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ამომრჩეველთა რეგისტრაცია საერთო ჯამში გაუმჯობესდა. ბევრი დაინტერესებული პირი კვლავ გამოხატავდა შემფოთებას ამომრჩეველთა სიებში არსებულ უზუსტობებთან დაკავშირებით, აცხადებდა რა, რომ ამომრჩეველთა სიები გაბერილი იყო გარდაცვლილი და არარსებულ მისამართებზე რეგისტრირებული პირების, ასევე დუბლიკატების არსებობის ხარჯზე. OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა არარსებულ მისამართებზე რეგისტრირებულ პირთა არსებობის ფაქტები დაადასტურეს.

კანდიდატთა რეგისტრაცია

საქართველოს კონსტიტუციისა და საარჩევნო კოდექსის მიხედვით მხოლოდ ცესკო-ს მიერ რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს შეუძლიათ პარტიული სიებისა და მაჟორიტარი კანდიდატების წარდგენა. კანონი ცალკეულ პირებს კანდიდატთა წარდგენის უფლებას არ აძლევს, რაც საერთაშორისო ვალდებულებებს აშკარად არღვევს¹⁰. საარჩევნო კოდექსში შესული ბოლო ცვლილებით არასაპარლამენტო პარტიებისთვის სავალდებულო მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობა 50,000-დან 30,000-მდე შემცირდა. 28 არასაპარლამენტო პარტიიდან 18 პარტიას, რომლებმაც ცესკო-ს მხარდამჭერთა სიები წარუდგინეს, უარი ეთქვათ საარჩევნო რეგისტრაციაზე ნამდვილ ხელმოწერათა არასაკმარისი რაოდენობის გამო.

¹⁰ ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.5 პუნქტის დარღვევით, რომელშიც წერია, რომ წევრი ქვეყნები პატივს სცემენ მოქალაქეთა უფლებას შექმნან პოლიტიკური ან საჯარო დაწესებულება დამოუკიდებლად ან როგორც პოლიტიკური პარტიების ან ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

ამ არჩევნებზე თორმეტი საარჩევნო სუბიექტი დარეგისტრირდა - 9 პარტია და 3 ბლოკი¹¹.

ზოგადად მოცულობითმა და გამჭვირვალე სარეგისტრაციო პროცესმა საქართველოს მოსახლეობას მისცა საშუალება, აერჩია თავისი წარმომადგენელი მრავალ კანდიდატს შორის. 21-22 აპრილს, პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის (რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიის პირველი ნომერი უნდა ყოფილიყო) მიერ საკუთარი კანდიდატურის ბოლო წუთს მოხსნის შემდეგ, ცესკო-ს ოპოზიციურმა წევრებმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიის ნახვა მოითხოვეს იმის გასარკვევად, შეცვალა თუ არა პარტიამ თავისი სია კანონის მიერ დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ. ეს მოვლენები ხასიათდებოდა გაუმჭვირვალობის მაღალი დონით, რადგან ოპოზიციის მიერ დანიშნულ ცესკო-ს წევრებს სიების ნახვა დაუყოვნეს.

საარჩევნო გარემო

ზოგადად, ყველა პარტიას მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო კამპანიის წარმოების საშუალება ჰქონდა. არჩევნები მკვეთრად პოლარიზებულ გარემოში მიმდინარეობდა. ადგილი ჰქონდა დაშინების მრავალ ფაქტს, რომელთა რაოდენობამ არჩევნების დღის მოახლოებასთან ერთად იმატა, და ასევე ოპოზიციის უნდობლობას საარჩევნო პროცესის მიმართ. „გაერთიანებული ოპოზიციის“ ორმა ლიდერმა განაცხადა, რომ მოხდებოდა აჯანყება „იმ შემთხვევაში თუ არჩევნები გაყალბდებოდა“. გაკეთდა რამდენიმე განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ხელი ეშლებოდა ოპოზიციის შედარებით მცირემასშტაბიანი საარჩევნო ღონისძიებების გამართვას. საარჩევნო ბილბორდები განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო თბილისში. მათი დიდი ნაწილი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ ეკუთვნოდა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საარჩევნო კამპანიისას აქცენტს სიღარიბის დაძლევაზე, ასევე მთავრობის მიღწევებზე აკეთებდა. ადგილი ჰქონდა ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მიერ კონკრეტულ თემებზე აგებულ საარჩევნო კამპანიებს, რაც ასევე ეკონომიკურ და კონსტიტუციურ რეფორმებს შეეხებოდა. ხშირად კეთდებოდა აქცენტი ადგილობრივ პრობლემებზეც. ოპოზიციურ პარტიათა საარჩევნო კამპანიის ტონალობა მკვეთრად უარყოფითი იყო და ყურადღებას ხელისუფლების მიერ ჩადენილ დარღვევებზე ამახვილებდა.

„გაერთიანებული ოპოზიციის“ ზოგიერთი ლიდერი მძაფრად აკრიტიკებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წამყვან ფიგურებს, ასევე პიროვნულ შეურაცხყოფას

¹¹ მათში შედიოდა „რესპუბლიკური პარტია“, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნებისას ძირითად ოპოზიციურ ბლოკში შედიოდა, თუმცა ამ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობდა; „ლეიბორისტული პარტია“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, „გაერთიანებული ოპოზიცია - ეროვნული საბჭო - ახალი მემარჯვენეები“, რომლის კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებზე მეორე ადგილზე გავიდა, და ახლად შექმნილი „ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობა“.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

აყენებდა ცესკო-ს თავმჯდომარეს. 1 მაისს „გაერთიანებული ოპოზიციის“ ლიდერთა დემარში ცესკო-ს მიმართულებით პოლიციასთან მწვავე შეტაკებით დასრულდა.

კანდიდატთა, პარტიის აქტივისტთა და სახელმწიფო მოხელეთა დაშინებასთან დაკავშირებით გავრცელებულმა მრავალმა განცხადებამ საარჩევნო გარემოზე უარყოფითად იმოქმედა. მიუხედავად იმისა, რომ მათი დადასტურება რთულია, განსაკუთრებით კი პოლარიზებულ გარემოში, OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მიერ შესწავლილი რამდენიმე განცხადება რეალურად დადასტურდა. მსგავსი ფაქტები დაფიქსირდა განსაკუთრებით კახეთში, მცხეთა-მთიანეთის ნაწილში, შიდა ქართლში, იმერეთში, გურიასა და აჭარაში. მოწოდებული მრავალი სარწმუნო განცხადება ადგილობრივი თანამდებობის პირების მიერ ოპოზიციის მხარდამჭერებზე განხორციელებულ ზეწოლის ფაქტებს უკავშირდებოდა, რაც მათ მიერ საარჩევნო კამპანიის შეწყვეტას ისახავდა მიზნად. ასევე გაისმოდა განცხადებები იმასთან დაკავშირებით, რომ ხორციელდებოდა მუქარა სკოლის დირექტორებისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან მასწავლებლების მისამართით - ოპოზიციური პარტიებისთვის მუშაობის გაგრძელების შემთხვევაში, ისინი სამსახურს დაკარგავდნენ. ასევე ადგილი ჰქონდა განცხადებებს იმის თაობაზე, რომ თუ წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირების ნათესავები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ გარანტირებული ხმების მოგროვებას შეძლებენ, ეს პირები პატიმრობიდან გათავისუფლდებოდნენ. აღნიშნული თბილისსა და გურიაში სანდო თვითმხილველებმა დაადასტურეს¹².

„გაერთიანებულმა ოპოზიციამ“ წარმოადგინა აუდიოჩანაწერი, რამაც ცაგერში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი სახელმწიფო მოხელეების დაშინებაში ამხილა. მათ თანამდებობიდან დათხოვნა ემუქრებოდათ, თუ ისინი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისთვის“ 80%-იანი¹³ მხარდაჭერის მოპოვების უზრუნველყოფას ვერ შეძლებდნენ. „გაერთიანებული ოპოზიციის“ განცხადებით, მსგავსი დაშინების ფაქტებს ხშირად ჰქონდა ადგილი. კანდიდატმა არჩევნებიდან თავისი კანდიდატურა მოხსნა. პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ამაზე მკვეთრი რეაგირება მოახდინა და მოწოდება გააკეთა უკანონო ქმედებების ჩადენისგან თავის შეკავების თაობაზე. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გააფრთხილა თავისი ოფიცრები, არ ჩარეულიყვნენ არჩევნებში და უსაფრთხო გარემოს შექმნა უზრუნველყოთ.

განსხვავება სახელმწიფოსა და პოლიტიკურ პარტიას შორის ხშირად ბუნდოვანი იყო¹⁴. მაგალითად, სამთავრობო სოციალური პროგრამები, როგორცაა სოფლებში საწვავის ვაუჩერების დარიგება ხანდახან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო

¹² მსგავსი ქმედებები ეწინააღმდეგება 1990 წლის ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 7.7 პუნქტს. ეს მუხლი მოითხოვს, რომ საარჩევნო კამპანია წარიმართოს სამართლიან და თავისუფალ გარემოში ადმინისტრაციული ქმედების, დარღვევის ან დაშინების გარეშე.

¹³ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის შეფასებით ცაგერში საჯარო სამსახურში დასაქმებული მოსახლეობის პროცენტული რაოდენობა.

¹⁴ რაც ეუთოს კოპენჰაგენის დოკუმენტის 5.4 პუნქტს ეწინააღმდეგება.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
 საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
 მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

ღონისძიებებთან ერთად ხორციელდებოდა, თუმცა უფრო ნაკლებად, ვიდრე მანამდე¹⁵. ოპოზიციური პარტიები კვლავ აცხადებდნენ, რომ „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობასთან“ შედარებით მათ ადმინისტრაციულ რესურსებზე ხელი არათანაბრად მიუწვდებოდათ¹⁶. გუბერნატორები სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ საარჩევნო კამპანიაში იყვნენ ჩართული, რაც მათ ეკრძალებათ იმის გამო, რომ ისინი არიან საჯარო მოხელეები და არა პოლიტიკური თანამდებობის პირები. 5 მაისს, ქარელის მახლობლად მდებარე სოფლებში OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ დააფიქსირა, რომ შიდა ქართლის გუბერნატორი მონაწილეობას იღებდა საარჩევნო კამპანიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარ კანდიდატთან ერთად.

ქალთა და ეროვნულ უმცირესობათა მონაწილეობა

არ არსებობს არც სამართლებრივი ბარიერები, რაც ხელს შეუშლიდა ქალების საარჩევნო პროცესებში მონაწილეობას, და არც რაიმე სამართლებრივი დადგენილებები, რაც ხელს შეუწყობდა მათ მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკაში რამდენიმე ცნობილი ქალია, ზოგადად ქალები პოლიტიკაში ნაკლებად არიან წარმოდგენილნი. საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას რამდენიმე ქალი კანდიდატი თუ იყო ფრიად თვალში საცემი. არ არსებობს წესები კანდიდატთა სიაში ქალთა არსებობის თაობაზე, თუმცა ყველა ძირითად პარტიას ჰყავდა სულ ცოტა ერთი ქალი პირველ ათეულში პროპორციულ საარჩევნო სიაში. საერთო ჯამში, პროპორციული სისტემით ჩასატარებელ საარჩევნო სიაში 28% იყო ქალი, ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში (58) ჩასატარებელ არჩევნებში კი - კანდიდატთა 12%. ცესკო-ს 13 წევრიდან მხოლოდ ერთადერთი არის ქალი. 76 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარიდან 15 ქალია. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა მიერ არჩევნების დღეს მონახულეულ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეების 45% იყო ქალი. ბევრმა ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ განახორციელა პროგრამები, რომლებიც სოფლად ქალ ამომრჩევლებზე იყო ორიენტირებული.

ეროვნულ უმცირესობებს კონსტიტუციით მინიჭებული აქვთ სრული პოლიტიკური უფლებები. ისინი მოსახლეობის 16.2 პროცენტს შეადგენენ. ყველაზე დიდ ეროვნულ უმცირესობას წარმოადგენენ აზერბაიჯანელები (6.5 %) და სომხები (5.7%). მათი დიდი რაოდენობა ცხოვრობს აზერბაიჯანისა და სომხეთის მოსაზღვრე რეგიონებში. რამდენიმე პარტიამ და ბლოკმა ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი კანდიდატი სიებში შეიყვანა და ასევე მაჟორიტარული წესით ჩასატარებელ არჩევნებში

¹⁵ ტყიბულში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებმა OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიას დაუდასტურეს, რომ მათ საწვავის ვაუჩერები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოფისიდან დაარიგეს.

¹⁶ კახეთში, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ სახელმწიფო შენობების გამოყენების თვალსაზრისით პრივილეგირებული უფლებით ისარგებლა. ამ შენობათა შორის იყო კულტურის ცენტრი, რომლის გამოყენებისთვისაც ოპოზიციურ პარტიებს თანხა გადაახდევინეს. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა ის ფაქტი, რომ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ შენობა უფასოდ რამდენჯერმე გამოიყენა.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

კანდიდატებად წარადგინა¹⁷ იმ რეგიონებში, სადაც ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის უმეტეს ნაწილს შეადგენენ. ცესკო-მ საუბნო საარჩევნო კომისიებს მიაწოდა საარჩევნო მასალები სომხურ, აზერბაიჯანულ, ოსურ და რუსულ ენებზე. ამომრჩეველთა მიერ თავის გადამოწმების პერიოდში გამოკრული ამომრჩეველთა სიები მხოლოდ ქართულ ენაზე იყო ხელმისაწვდომი.

მედია

მედია ზოგადად აზრთა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, რამაც ამომრჩეველებს საშუალება მისცა, არჩევნების დღეს უფრო ინფორმირებული არჩევანი გაეკეთებინათ. კერძოდ, „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელმა“ ამომრჩეველს მისცა შანსი, ერთმანეთისთვის შეედარებინა პარტიები და კანდიდატები თოქ შოუების, უფასო პრეზენტაციების, საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებული ახალი ამბებისა და სატელევიზიო დებატების საშუალებით, მათ შორის „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და ოპოზიციას შორის გამართული დებატებით. კერძო მაუწყებლები საარჩევნო სუბიექტებს სთავაზობდნენ საეთერო დროს უფასო სარეკლამო რგოლებისთვის და აწყობდნენ თოქ შოუებს პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების მონაწილეობით. ფასიანი პოლიტიკური რეკლამის მაღალი ტარიფი საარჩევნო სუბიექტებს ტელევიზიით კამპანიის წარმოების საშუალებას უზღუდავდა. მთავარი ტელეარხების მიერ პოლიტიკური რეკლამის განთავსებისთვის დაწესებული ტარიფი კომერციული რეკლამის ტარიფს ათჯერ აღემატებოდა.

„საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ახლად არჩეული სამეურვეო საბჭოს ინიციატივით, რომლის შემადგენლობაში როგორც მმართველი პარტიის, ისე ოპოზიციის მიერ წარდგენილი პირები შედიან, „საზოგადოებრივ მაუწყებელსა“ და ყველა საარჩევნო სუბიექტს შორის ურთიერთგაგების მემორანდუმში გაფორმდა, რაც საარჩევნო ღონისძიებების მიუკერძოებლად გაშუქებას ითვალისწინებდა.

პლურალისტური მედიაგარემოს მიუხედავად გამოშვებების უმეტესობა კვლავაც მათი მფლობელებისა და ხელმძღვანელობის ძლიერი გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეულნი. მაგალითად, ყველა ძირითადი ტელეკომპანია კანდიდატებისა და პოლიტიკური პარტიების მხრიდან გარკვეულ გავლენას განიცდიდა, რაც ხელს უშლიდა ყველა საარჩევნო სუბიექტის მიუკერძოებლად გაშუქებას, როგორც ამას კანონი¹⁸ ითვალისწინებს. ამან განაპირობა ის, რომ სატელევიზიო ახალ ამბებში საარჩევნო

¹⁷ „რესპუბლიკურმა პარტიამ“ თავის პარტიულ სიაში ეროვნული უმცირესობის ხუთი წარმომადგენელი შეიყვანა. „ლეიბორისტულმა პარტიამ“ - ერთი, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ - 8, „გართიანებულმა ოპოზიციამ“ - 7. „ქრისტიან-დემოკრატიულმა მოძრაობამ“ არც ერთი. „რესპუბლიკურმა პარტიამ“ და „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ თავიანთ საარჩევნო სიებში ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებს სხვებთან შედარებით საწყისი ნომრები - 9 და 29 - მიანიჭა. მაშინ, როდესაც „გართიანებულმა ოპოზიციამ“ პროპორციული სისტემით არჩევნებისთვის ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელს კანდიდატთა სიაში 85-ე ადგილი მიანიჭა.

¹⁸ 54-ე მუხლი, საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

კამპანიის გაშუქებისას არ იყო დაცული ბალანსი იმ ტელეკომპანიების უმეტესობაში, რომელთა მონიტორინგიც OSCE/ODIHR არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მიერ ხორციელდებოდა. თითქმის ყველა ტელეარხზე საეთერო დროის უმეტესი ნაწილი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაზე“ მოდიოდა. ამ მხრივ გამონაკლისს „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“ წარმოადგენდა. იმ ტელეკომპანიათა უმეტესობამ, რომელთა მონიტორინგსაც მისია ახორციელებდა¹⁹, „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ჩათვლით, ხელისუფლების ღონისძიებებს ხანგრძლივი და კეთილგანწყობილი სიუჟეტები მიუძღვნა. მაგალითად, ოთხმა ძირითადმა ტელეარხმა ყველაზე რეიტინგული დროის საინფორმაციო გამოშვებებში 22-წუთიანი პირდაპირი ჩართვა განახორციელა ქუთაისში პრეზიდენტის, მინისტრთა კაბინეტისა და რეგიონის ოფიციალური პირების შეხვედრის გასაშუქებლად. პრეზიდენტის, მინისტრებისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების გაშუქება ფორმალურ ღონისძიებებზე, რომელსაც ხშირად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატები ესწრებოდნენ, „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო კამპანიისთვის არაპირდაპირი სარგებელი მოჰქონდა.

ბოლო ექვსი კვირის მანძილზე საარჩევნო ღონისძიებებზე წარმოებული მედიამონიტორინგის განმავლობაში „საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა“ ყველაზე რეიტინგული დროის პოლიტიკურ და საარჩევნო საინფორმაციო გამოშვებებში თანაბარი დრო დაუთმო „გაერთიანებულ ოპოზიციას“ (18%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (17%). მაშინ, როდესაც მმართველი პარტიის გაშუქების ტონალობა უმეტესწილად პოზიტიური იყო, ძირითადი ოპოზიციური ბლოკი ნეიტრალური ტონალობით გაშუქდა. გაშუქების უმეტესი წილი პრეზიდენტსა და მთავრობაზე მოდიოდა (32%) და უმეტესწილად პოზიტიური ტონალობით ხასიათდებოდა.

„რუსთავი 2-მა“ და „მზემ“ ვრცელი და კეთილგანწყობილი სიუჟეტები მიუძღვნა სახელმწიფო თანამდებობის პირებს. მთავარი ოპოზიციური ბლოკის წარმომადგენლებისა და მისი მხარდამჭერების მიერ აღნიშნული ტელეკომპანიების ჟურნალისტებისთვის მიყენებული სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის გამო „რუსთავი 2-მა“ და „მზემ“ თავიანთი ახალი ამბების გამოშვებებში „გაერთიანებულ ოპოზიციას“ ბოიკოტი გამოუცხადეს, „მზემ“ - 27 აპრილამდე, „რუსთავი 2-მა“ - 28 აპრილამდე. ამის სანაცვლოდ ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა „რუსთავი 2-ს“ და „მზეს“, ბრალი დასდო რა მათ მთავრობისადმი მიკერძოებულობაში, და მხოლოდ პირდაპირი ეთერით ინტერვიუების მიცემაზე დათანხმდა. მიუხედავად იმისა, რომ „რუსთავი 2-მა“ და „მზემ“ თავიანთ საინფორმაციო გამოშვებებში დაიწყეს მთავარი ოპოზიციური ბლოკის გაშუქება, მთავრობისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ღონისძიებების გაშუქება აჭარბებდა ოპოზიციისადმი მიძღვნილი სიუჟეტების რაოდენობას. მაგალითად, ტელეკომპანია „მზე“ შაბათ-კვირას გადასცემდა 10-წუთიან გადაცემას (თბილისის საქალაქო ადმინისტრაციის დაფინანსებით) თბილისში მიმდინარე ახალი ამბების შესახებ, რომელიც უმეტესწილად აშუქებდა

¹⁹ „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“ და ტელეკომპანია „აჭარა“, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებიან; კერძო ტელეკომპანია „რუსთავი 2“, „მზე“, „კავკასია“

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებს, რომლებიც კენჭს იყრიდნენ თბილისის ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში, რასაც ვერ ვიტყვით სხვა კანდიდატებზე იმავე საარჩევნო ოლქებში. ტელეკომპანია „აჭარამ“ მსგავს მიდგომას მიმართა. აღნიშნული ტელეკომპანიებისგან განსხვავებით ტელეკომპანია „კავკასია“ ოპოზიციის პლატფორმას წარმოადგენდა. მან საარჩევნო კამპანიის გაშუქებისთვის გამოყოფილი საეთერო დროის დიდი ნაწილი „გაერთიანებულ ოპოზიციას“ დაუთმო და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მწვავე კრიტიკით გამოირჩეოდა.

ცესკო-მ მედიამონიტორინგი კომერციული კომპანიის საშუალებით ჩაატარა და ოთხი ანგარიში გამოაქვეყნა. მიუხედავად იმისა, რომ შედეგების თანახმად, ახალ ამბებში ბალანსის ნაკლებობა დაფიქსირდა, არც ცესკო-მ და არც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გადამჭრელი ზომები არ მიიღო. როგორც ცესკო, ისე კომუნიკაციების ეროვნული კომისია აღნიშნავდა, რომ მედიასთან დაკავშირებით მათთან არანაირი საჩივარი არ შესულა.

საჩივრები და განცხადებები

საარჩევნო ადმინისტრაციამ ზოგადად ვერ გამოიყენა თავისი ფართო უფლებამოსილება, საკუთარი ინიციატივით გამოეძიებინა და აღმოეფხვრა საარჩევნო კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებული დარღვევები. არჩევნების დამეს საოლქო საარჩევნო კომისიებმა ბევრ საჩივარზე სწრაფი რეაგირება მოახდინეს და ბათილად 13 საუბნო საარჩევნო კომისიის შედეგები გამოაცხადეს. აღნიშნული საჩივრები ძირითადად ადგილებრივი დამკვირვებლების მიერ იყო შეტანილი.

საარჩევნო ადმინისტრაციასა და სასამართლოებში შესული საჩივრები და განცხადებები ძირითადად საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს უკავშირდებოდა. შედარებით ცოტა ფორმალური საჩივარი საარჩევნო კამპანიის წარმოებასთან დაკავშირებულ დარღვევებს შეეხებოდა²⁰. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ სულ ერთი საჩივარი შეიტანა. ოპოზიციურმა პარტიებმა და ადგილობრივმა დამკვირვებლებმა უნდობლობა გამოუცხადეს საარჩევნო ადმინისტრაციას, სასამართლოებსა და სამართალდამცავ სტრუქტურებს ეფექტურად გადაწყვიტონ არჩევნებთან დაკავშირებული საჩივრები. კეთდება მინიშნებები იმასთან დაკავშირებით, რომ მოქალაქეებს ეშინიათ არჩევნებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაულზე ინფორმაციის მიწოდება. სასამართლოში სარჩელის შეტანისთვის დაწესებული შედარებით მაღალი ტარიფი, საჩივრებისა და განცხადებების წარდგენისთვის შემაფერხებელ ფაქტორად სახელდება.

²⁰ წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებული საჩივრებისა და განცხადებების რაოდენობა დაახლოებით შეადგენს: საოლქო საარჩევნო კომისიები - 64, ცესკო - 26, თბილისის საქალაქო სასამართლო - 28, თბილისის სააპელაციო სასამართლო - 14, სხვა საქალაქო/რაიონული სასამართლოები - 8, ქუთაისის სააპელაციო სასამართლო - 1, საკონსტიტუციო სასამართლო - 2.

საჩივრებსა და განცხადებებთან დაკავშირებული პროცედურები გამარტივდა და გარკვეულწილად გასაგები გახდა, თუმცა იგი კვლავ წინააღმდეგობრივი და ორაზროვანია. საჩივართა მნიშვნელოვანი ნაწილის (დაახლოებით 20%) განხილვა არ მოხდა პროცედურული დარღვევის გამო, მაგალითად როგორცაა არაუფლებამოსილი მომჩივანი ან იურისდიქციის არმქონე ორგანოში სარჩელის შეტანა. ადმინისტრაციული გადაწყვეტილების თაობაზე საჩივრის შეტანის, ასევე საჩივრებისა და განცხადებების განხილვის ვადა თავისთავად ძალიან მცირეა (1-2 კალენდარული დღე) იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროცედურული სამართლიანობა და საქმის ჯეროვანი განხილვა. მომჩივნებს, ისევე როგორც გადაწყვეტილების მიმღებ პირებს დაწესებულ მოკლე ვადებში ჩატევა უჭირდათ.

საარჩევნო კომისიები და სასამართლოები უმეტესწილად სათანადოდ არ განიხილავდნენ საჩივრებსა და განცხადებებს და აშკარა მიკერძოებას იჩენდნენ მმართველი პარტიისა და საჯარო მოხელეების სასარგებლოდ. ისინი უარს აცხადებდნენ მოწმეთა ჩვენების მოსმენაზე ან დოკუმენტირებული სამხილის ნახვაზე, ვერ ახერხებდნენ ყველა სათანადო ფაქტის განხილვას, მიმართავდნენ კანონის არაგონივრულ ინტერპრეტაციას, უგულვებელყოფდნენ კანონის არსს, ან ვერ იძლეოდნენ სამართლებრივ არგუმენტაციას. ცესკო არ განიხილავდა და არ აანალიზებდა საჩივრებს სისტემატურად და სამართლებრივად, და გადაწყვეტილების მიღებისას არ მიმართავდა სამართლებრივ მსჯელობას. ცესკო-ს იურისტები ხშირად სთავაზობდნენ უსაფუძვლო და შეუსაბამო არგუმენტებს ცესკოსა და სასამართლოებს. ერთ შემთხვევასთან მიმართებაში, ცესკო-ს იურისტმა განაცხადა, რომ ცესკო-ს წევრებს აქვთ უფლება საჩივრებზე ხმა საკუთარი „შინაგანი რწმენის“ მიხედვით მისცენ და რომ ისინი არ არიან კანონით ვალდებული.

სამმა ოპოზიციურმა პარტიამ შეიტანა საჩივარი სასამართლოში, რომლითაც ცესკო-ს მიერ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიის დარეგისტრირებასთან დაკავშირებით გამოცემული განკარგულების ბათილად ცნობას მოითხოვდნენ. საჩივარში ისინი აცხადებდნენ, რომ სია სამართლებრივი პროცედურების დაცვით არ იყო შეტანილი. მომჩივანთა შემოთავაზებაზე, მოეყვანათ მოწმეები ბრალდების დასადასტურებლად, მოსამართლეებმა უარი განაცხადეს, რის მიზეზადაც შემდეგი გაუმართლებელი გარემოებები მოიყვანეს: დროის ნაკლებობა საარჩევნო პერიოდში და მოწმეთა ჩვენების უსარგებლობა. შემდეგ კი, სასამართლომ არ დააკმაყოფილა საჩივარი იმის გამო, რომ მომჩივნებს არ წარმოუდგენიათ სათანადო მტკიცებულება.

ბევრი საჩივარი შევიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატების მიერ ხმების მოსყიდვისა და საჯარო მოსამსახურეების მიერ კამპანიის წარმოების თაობაზე, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციისა და სასამართლოების მიერ არ დაკმაყოფილდა. სამართლებრივი დებულებების ფართო ინტერპრეტაციისას, რომელიც ხშირად არ შეესაბამებოდა კანონის როგორც ფორმალურ, ისე არსებით მხარეს, აშკარა ხდება, რომ ეს სტრუქტურები არ ითვალისწინებდნენ შეიცავდნენ დემოკრატიული არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელ სტანდარტებს. მსგავსი ინტერპრეტაციები სრულ თავისუფლებას აძლევდა საარჩევნო სუბიექტებს, რათა ხმების მოსყიდვის გზით

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

ამომრჩევლებზე გაუმართლებელი ზემოქმედება მოეხდინათ; ასევე სრულ თავისუფლებას იძლეოდა იმისათვის, რომ ერთმანეთს დამთხვეოდა საარჩევნო ღონისძიებები და სამთავრობო ინიციატივები და, რომ საჯარო მოხელეებს ერთმანეთში შეერიათ თანამდებობრივი მოვალეობები და საარჩევნო ღონისძიებები. შედეგად, შეიქმნა არათანაბარი საარჩევნო პირობები, რამაც მმართველი პარტია მომგებიან პოზიციაში ჩააყენა. მაგალითად, სასამართლოს გადაწყვეტილებით მხოლოდ კანდიდატებსა და პარტიის წარმომადგენლებს ეკრძელებათ ხმების მოსყიდვა, ამგვარად, კამპანიის მწარმოებელი სხვა სუბიექტები სარგებლობენ ამ უფლებით.

ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები

საქართველოში სამოქალაქო საზოგადოება აქტიურობით გამოირჩევა. არსებობს რამდენიმე ცნობილი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომლებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი არჩევნებზე დაკვირვების განხორციელებაში. უფრო მეტიც, საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების ფართო სპექტრი მოიწვია. საარჩევნო კოდექსის დებულებები ადგილობრივი მიუკერძოებელი დამკვირვებლების თაობაზე, რომელთა საქმიანობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მათი საერთაშორისო კოლეგების, შესაბამისობაში მოვიდა საერთაშორისო დამკვირვებლების თაობაზე არსებულ დებულებებთან. ახლა ისინი ნათლად განსაზღვრავენ ადგილობრივი დამკვირვებლების უფლებას, აწარმოონ დაკვირვება საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონეზე. ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების რეგისტრაციის ვადა არჩევნებამდე 30 დღიდან 10 დღემდე შემცირდა. თუმცა, საარჩევნო კოდექსი დამკვირვებელ ორგანიზაციებს არ აძლევს საშუალებას, შესწორებები შეიტანონ თავიანთ განაცხადებებში. ცესკო-მ დაარეგისტრირა 37 ადგილობრივი და 43 საერთაშორისო ორგანიზაცია, ასევე 16 საელჩო. არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს წარმომადგენლების დანიშვნა ყველა კომისიაში შეეძლო.

არჩევნების დღე

არჩევნების დღემ ზოგადად მშვიდობიან გარემოში ჩაიარა. თუმცა ზოგიერთ რეგიონში არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ხმის მიცემის გარემო შეაფასეს როგორც დაძაბული და პრობლემური. ცესკო-მ საარჩევნო უბნების შედეგებისა და ოქმების დადება თავის ვებ-გვერდზე 22 მაისს, ღამით დაიწყო. არჩევნების ღამეს ცესკო-მ განაცხადა, რომ „სერიოზული დარღვევების“ გამო არჩევნები 13 საარჩევნო უბანზე ბათილად გამოცხადდა. გადაწყვეტილება სხვა საარჩევნო უბნებთან დაკავშირებით ჯერ არ არის მიღებული. ცესკო-ს წინასწარი მონაცემებით ამომრჩეველთა აქტივობამ 55% შეადგენდა.

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები ხმის მიცემის პროცესს ჯამში არსებული 3,630 საარჩევნო უბნიდან თითქმის 1,500-ზე უბანზე დააკვირდნენ; ხმების დათვლას კი - 150 უბანზე. არჩევნების საერთაშორისო

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

სადამკვირვებლო მისია ასევე დააკვირდა ხმების შეჯამების პროცესს 73 საოლქო საარჩევნო კომისიაში.

მონახულებული საარჩევნო უბნებიდან 85 პროცენტში უბნის გახსნითი პროცედურები დადებითად შეფასდა. დაფიქსირებული პროცედურული დარღვევები გულისხმობს, რომ არ განხორციელდა ამომრჩეველთა რაოდენობის ოქმში გატარება (8%), საარჩევნო ყუთების დალუქვა (4%), ბეჭდების სერიული ნომრების ჩაწერა (6%) და საკონტროლო ფურცლების საარჩევნო ყუთში ჩაყრა (1%). უფლებამოსილების არმქონე პირები ესწრებოდნენ უბნების გახსნის პროცესს საარჩევნო უბნების 8 პროცენტზე, მაგრამ აქედან მხოლოდ სამ შემთხვევაში არ ერეოდნენ საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობაში. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა საარჩევნო უბნების 41 პროცენტზე უბნების დაგვიანებული გახსნა დააფიქსირეს.

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა მონახულებული საარჩევნო უბნების 92 პროცენტზე ხმის მიცემის პროცესი შეაფასეს როგორც „კარგი“ ან „ძალიან კარგი“. თუმცა რამდენიმე რეგიონში, განსაკუთრებით კი შიდა ქართლში, სამცხე-ჯავახეთში, კახეთში, გურიასა და ქვემო ქართლში ხმის მიცემის პროცესი უარყოფითად შეფასდა. საუბნო საარჩევნო კომისიებისა და ამომრჩევლების მიერ პროცედურების ცოდნა დადებითად შეფასდა მონახულებულ საარჩევნო უბანთა უმრავლესობაში.

ყველაზე მასშტაბური პროცედურული დარღვევები შეეხებოდა მარკირების პროცედურას. მონახულებული საარჩევნო უბნების 11 პროცენტზე ამომრჩევლებს ყოველთვის არ ამოწმებდნენ მარკირების სითხის კვალის აღმოსაჩენად. უბანთა 9 პროცენტზე მარკირებას ყოველთვის არ იყენებდნენ. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა განაცხადეს, რომ ხუთ საარჩევნო უბანზე უკვე მარკირებულ ამომრჩევლებს ხმის მიცემის უფლება მისცეს. სხვა დარღვევები შეეხებოდა საარჩევნო ყუთების არასათანადოდ დალუქვას (4%), ერთი შეხედვით იდენტურ ხელმოწერებს (2%), წარმომადგენლობით და მრავალჯერად ხმის მიცემას (2-2%), ჯგუფურ ხმის მიცემას (5%) და ერთი და იმავე პირის მიერ ბევრი ამომრჩევლისთვის „დახმარების აღმოჩენას“ (2%). არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები თორმეტჯერ გახდნენ ბიულეტენების საარჩევნო ყუთებში ჩაყრის მოწმე. რვაჯერ დაფიქსირდა ე.წ. „კარუსელი“ ხმის მიცემისას. მონახულებული საარჩევნო უბნების 5 პროცენტზე ყველა ამომრჩეველი არ ავსებდა ბიულეტენს ფარულად.

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა დააფიქსირეს მოძრავი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემასთან დაკავშირებული პრობლემები. კერძოდ, ერთიან და სპეციალურ საარჩევნო სიებში არ მოხდა იმ ამომრჩეველთა აღნიშვნა, რომლებმაც მოძრავი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ხმის მიცემა ითხოვეს (2%). ამომრჩეველთა სიების დანართში შესული ამომრჩევლების წილი 10 პროცენტს აჭარბებდა მონახულებული საარჩევნო უბნების 10 პროცენტზე.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

სიტუაცია საარჩევნო უბნების შიგნით და გარეთ ზოგჯერ პრობლემური იყო. დამაბულობა მონახულებული საარჩევნო უბნების 6 პროცენტზე აღინიშნა, ხოლო დამაბულობა ან არეულობა მიმდებარე ტერიტორიაზე - 4 პროცენტზე. მონახულებული საარჩევნო უბნების 1 პროცენტზე აღინიშნა დაშინების ფაქტი. 3 პროცენტზე აღინიშნა შემთხვევები, როდესაც პირები ცდილობდნენ ამომრჩეველზე ზემოქმედების მოხდენას. საარჩევნო მასალების არსებობა აშკარა იყო მონახულებული საარჩევნო უბნების 3 პროცენტზე. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღნიშნეს ხალხით გადაჭედული საარჩევნო უბნების არსებობა ან ხმის მისაცემად გარეთ მომლოდინე ამომრჩეველების გრძელი რიგები (6-6%).

საარჩევნო უბნების 21 პროცენტზე ყველა ამომრჩეველმა თავი სიაში ვერ აღმოაჩინა. საერთო ჯამში, ასეთ ამომრჩეველთა რაოდენობა ცოტა იყო. საარჩევნო უბნების 1 პროცენტზე ამომრჩეველებს შეუსაბამო მიზეზით უარი ეთქვათ ხმის მიცემის უფლებაზე. საარჩევნო ბიულეტენები უმცირესობათა ენებზე ზოგადად ხელმისაწვდომი იყო ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ ტერიტორიებზე. ერთეულ შემთხვევებში მსგავსი ბიულეტენები მიწოდებული არ ყოფილა.

ადგილობრივი არაპარტიული დამკვირვებლები მონახულებული საარჩევნო უბნების 83 პროცენტზე იმყოფებოდნენ. პარტიის ან ბლოკის წარმომადგენლები კი - 98 პროცენტზე. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიამ დააფიქსირა ფაქტები, როდესაც დამკვირვებლებსა და წარმომადგენლებს თავიანთი საქმიანობის შესრულებაში ხელი ეშლებოდათ, ადგილი ჰქონდა მათ დაშინებას ან საარჩევნო უბნებიდან გაყრას. უფლებამოსილების არმქონე პირების, უმეტეს შემთხვევაში პოლიციელებისა და პარტიის აქტივისტების არსებობა დაფიქსირდა საარჩევნო უბნების 5 პროცენტზე. 16 შემთხვევაში ეს პირები ერეოდნენ ან მითითებებს აძლევდნენ საუბნო საარჩევნო კომისიას.

მონახულებული საარჩევნო უბნების 12 პროცენტზე ოფიციალური საჩივრები შევიდა, რომელთა რაოდენობამ კენჭისყრის ბოლო საათებში იმატა. არასამთავრობო ორგანიზაციები და პარტიები აცხადებდნენ, რომ დამკვირვებლებსა და წარმომადგენლებს ხელს უშლიდნენ საჩივრების შეტანაში. მისიამ 7 ამგვარი შემთხვევა თავად დააფიქსირა.

ხმების დათვლა ნაკლებად დადებითად შეფასდა. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებელთა 22 პროცენტმა იგი შეაფასა როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი. საუბნო საარჩევნო კომისიათა დიდმა რაოდენობამ საარჩევნო ყუთების გახსნამდე ვერ განახორციელა შედარების ძირითადი პროცედურები, როგორცაა დათვლა და ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერათა რაოდენობის ან გამოუყენებელი ბიულეტენების ოქმებში შეტანა. სავალდებულო რიცხობრივი შესაბამისობის შემოწმება ხმების დათვლამდე და მის შემდეგ ხშირად გამოტოვებული იყო. ხმების დათვლის სამ პროცესზე დასწრებისას, ამომრჩეველთა მიერ გაკეთებული არჩევანი ხმების დათვლის დროს ხმამაღლა არ ცხადდებოდა. ბიულეტენების ბათილობის დადგენა ყოველთვის თანმიმდევრულად და გონივრულად არ ხდებოდა.

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
 საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
 მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

ხშირად დაფიქსირდა უფლებამოსილების არმქონე პირთა არსებობა, რომლებიც პროცესში იშვითად იღებდნენ მონაწილეობას. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა გაყალბების 3 აშკარა ფაქტი დააფიქსირეს.

ბევრ საუბნო საარჩევნო კომისიას არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსებასთან დაკავშირებით პრობლემა ჰქონდა. ისინი ოქმში ადრე შეტანილ მონაცემებს ასწორებდნენ. ასევე დაფიქსირდა ოქმების წინასწარ ხელმოწერის ფაქტები. უფლებამოსილი პირები ოქმების ასლებს თითქმის ყოველთვის იღებდნენ. მაგრამ ბევრი საუბნო საარჩევნო კომისია არ აკრავდა ოქმების ასლებს თვალსაჩინო ადგილას, როგორც ამას კანონი მოითხოვს. იმ საარჩევნო უბანთა ნახევარში, სადაც მისია ხმების დათვლის პროცესს დააკვირდა, საუბნო საარჩევნო კომისიამ ცესკო-ს ოქმები ხმების დათვლისთანავე ფაქსით არ გადაუგზავნა.

ხმების შეჯამების პროცესი კრიტიკულად შეფასდა საოლქო საარჩევნო კომისიების 16 პროცენტში. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა განსაკუთრებით აღნიშნეს უფლებამოსილების არმქონე პირის არსებობა და საოლქო საარჩევნო კომისიებში საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ, ყოველგვარი უფლების გარეშე, ოქმების შევსების ან შესწორების ფაქტები. საოლქო საარჩევნო კომისიათა ორ მესამედში არ მოხდა ოქმების ერთმანეთთან სწორად შედარება. ბევრ საარჩევნო უბანში ამომრჩევლებმა დააფიქსირეს გამჭვირვალობის ნაკლებობა ან დამკვირვებელთა საქმიანობის შეფერხება. ბევრმა საოლქო საარჩევნო კომისიამ ხმების შეჯამების პროცესი არჩევნების დამეს დაასრულა. ზოგიერთმა საოლქო საარჩევნო კომისიამ არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებს განუცხადა, რომ ისინი დაასრულებდნენ თავიანთი შემაჯამებელი ოქმების შევსებას კანონით დადგენილი ბოლო ვადის ამოწურვამდე (31 მაისი).

მოხსენების მხოლოდ ინგლისურენოვანი ვერსია არის ოფიციალური

ინფორმაცია მისიის შესახებ და სამადლობელი სიტყვა

OSCE/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისია თბილისში 10 აპრილს გაიხსნა. მის შემადგენლობაში შედიოდა 42 ექსპერტი და გრძელვადიანი დამკვირვებელი, რომელთა გადანაწილება მოხდა თბილისსა და 10 რეგიონალურ ცენტრში. არჩევნების დღეს არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიაში შედიოდა 550-მდე დამკვირვებელი 48 ქვეყნიდან, მათ შორის იყო OSCE/ODIHR-ის მიერ განლაგებული 400 მოკლევადიანი დამკვირვებელი, ასევე 71 პარლამენტარი და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თანამშრომლები, 24 დამკვირვებელი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეიდან, 11 ევროპარლამენტიდან და 6 ნატოს საპარლამენტო ასამბლეიდან.

ბატონი ჟოა სოარესი (პორტუგალია), ეუთოს საპარლამენტო დელეგაციის ასამბლეის ხელმძღვანელი ეუთო-ს თავმჯდომარის მიერ დაინიშნა ეუთოს მოკლევადიანი

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია
 საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2008 წლის 21 მაისი
 მოხსენება წინასწარი მონაცემებისა და დასკვნების შესახებ

დამკვირვებლების სპეციალურ კოორდინატორად. ბატონი მატიაშ იორში (უნგრეთი) ხელმძღვანელობდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას; ქალბატონი მარი ანე ისლერ ბეგუინი (საფრანგეთი) ხელმძღვანელობდა ევროპის პარლამენტის დელეგაციას. ბატონი ბრიუს ჯორჯი (გაერთიანებული სამეფო) ხელმძღვანელობდა ნატოს საპარლამენტო ასამბლეას. ელჩი ბორის ფრლეცი (სლოვენია) OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიას უდგას სათავეში.

არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას სურს მადლობა გადაუხადოს საქართველოს ხელისუფლებას არჩევნებზე დამკვირვებლად მოწვევისთვის, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სააკრედიტაციო დოკუმენტაციის უზრუნველყოფისთვის და საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს პარლამენტს და სხვა სახელმწიფო და ადგილობრივ ხელისუფლებას დახმარებისა და თანამშრომლობისთვის. არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიას ასევე სურს პატივისცემა გამოხატოს საქართველოში ეუთოს მისიისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი თანამშრომლობისა და მხარდაჭერისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:

- OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელს, ბატონ ბორის ფრლეცს თბილისში (+995 32 487 841);
- ბატონ იენს ემენბეჰერს, OSCE/ODIHR-ის არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიის პრესსპიკერს (+48 603 683 122) ან ბატონ მაც ლინდბერგს OSCE/ODIHR-ის მრჩეველს საარჩევნო საკითხებში, ვარშავაში (+48 22 520 0600);
- ბატონ კლას ბერგმანს, OSCE/PA (+45 60 108030)
- ბატონ ბას კლაინს, PACE (+33-6622 65489);
- ბატონ შტეფან პფიცნერს, ევრო პარლამენტი (+32-498-983 295)
- ზაჰარი ზელდენს, NATO/PA (+32 486 322 809)

OSCE/ODIHR-ს არჩევნების სადამკვირვებლო მისიის მისამართი:

სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასი"
 თბილისი, თელავის ქ. #20, 0103
 ტელ: +995 32 487841
 ფაქსი: +995 32 487842
 ელ-ფოსტა: office@odihr.ge